მსაჯს რომ პრინციპულობა არ გამოეჩინა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 30 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) “ნეფტიანიკი” (ბაქო) 1:0 (0:0).

გოლი გაიტანა ბარქაიამ (75) - 1:0.

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, მეტრეველი ბარქაია, იამანიძე, მესხი.

“ნეფტიანიკი”: კრამარენკო, ბაბაევი, ახუნდოვი, ჯალილოვი, ტროფიმოვი, სემიგლაზოვი, ტუაევი, გრიაზევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, მელქუმოვი (გაჯიევი).

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

დუბლიორებს არ უთამაშიათ

ჩვენ საგანგებოდ ვუსვამთ ხაზს გუშინდელი მატჩის რეცენზიის სათაურს იმის გამო, რომ კუიბიშეველმა არბიტრმა ნ. კრილოვმა მართლაც სრული პრინციპულობა გამოიჩინა და მას შემდეგ, რაც გატანილი გოლის კატეგორიული დადასტურება მიიღო გვერდითი მსაჯისგანაც, გადაჭრით და უყოყმანოდ გაიშვირა ხელი ცენტრისკენ. ბაქოელი ფეხბურთელები მთელი შემადგენლობით ეკვეთნენ კრილოვს და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დაჟინებით მოითხოვდნენ მისგან ამ გადაწყვეტილების უარყოფას.

არბიტრი კი სავსებით მართალი იყო. საქმე კი შემდეგში გახლდათ. მეორე ტაიმის 31-ე წუთზე “ნეფტიანიკის” დაცვას უყურადღებოდ დარჩა მარჯვენა ფლანგზე ბარქაია. მან მიიღო გადაცემა მინდვრის ცენტრიდან, დაიძრა მეტოქის კარისკენ და შორი მანძილიდან დაარტყა კარში. დაარტყა, როცა ამას არ მოელოდა მეკარე. კრამარენკომ მოსწრებით მოასწრო ბურთის დაჭერა, მაგრამ უკვე მას შემდეგ, რაც ბურთმა მთლიანად გადაკვეთა კარის ხაზი. აი, ამ მომენტს დავობდნენ ბაქოელები ზედმეტი გაცხარებით და აზარტით. ეტყობა, მათ ენანებოდათ მატჩის წაგება, რომელიც გუნდმა საკმაოდ კარგად ჩაატარა და სრული საფუძველიც ჰქონდა გარანტირებულად ჩაეთვალა მეტად საჭირო 1 ქულა.

ჩემპიონს ძალიან გაუჭირდა “ნეფტიანიკთან” შეხვედრის მოგება. ორივე ფლანგი მეტრეველიც და მესხიც ძალიან ხშირად აგებდნენ ბრძოლას ბაბაევთან და ჯალილოვთან. თავდასხმის ცენტრალური წყვილი (ბარქაია, იამანიძე) მოქმედებდა არა შეტევის ავანპოსტზე, როგორც ამას სისტემა მოითხოვს, არამედ სიღრმეში, იქ, სადაც იერიში ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და კარში გადამწყვეტი დარტყმის შესასრულებლად კიდევ და კიდევ საჭირო ხდება ახალი გზების ძიება. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ პირველ ტაიმში ხურცილავას რამდენიმეჯერ მოუხდა მინდვრის სიღრმიდან ძლიერი დარტყმების შესრულება “ნეფტიანიკის” კარში. წინა ხაზების მოთამაშეები საამისო საშულებას ვერ პულობდნენ.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 1 ივლისი, 1965 წ.
დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 1.07.65